რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирaлoвის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амиа ლოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Зарубежные подписчики: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: თვიერ წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ებრაულ ენებზე.

ფასი განცხადებისა: ქართულ-სომხურ ენებით ასოზე—1 კაპ., ახალ-მთავრულით ტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

დ. მ. ნამესტნიკის დღესასწაულისა გამო, ხვალ, შაბათს გაზეთი არ გამოვა.

პირველი ენკენისთვიდამ ამ მდგომარე წლის დამლევამდინ

„დროება"

ღირს სამ მანეთად

პირველი ღვინობისთვიდამ წლის დამლევამდინ—ოთხ მანეთად.

ხელის-მოწერა შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирaлoвის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

საქართველო

დღიური

*** „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია უმაღლესი განკარგულება, რომლის ძალითაც როგორც თითონ რუსეთის იმპერიაში, აგრეთვე კავკასიაში დაყენებულის ჯარის კაცები შეიძლება დათხოვნილ იქმნენ მოკლეს ვადით. სალდათები დაითხოვებიან მომავალი 1879 წლის 1 მარტამდინ.

*** ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ პეტერბურღში იხსენება „თავ-შესაფარი სახლი და სასწავლებელი იმ აფიცრების შვილებისათვის, რომელნიც ამ გასულ ომში იყენენ დახოცილნი ანუ მძიმედ დაჭრილნი." ოლდენბურღის პრინცესსა, რომლის თაოსნობითაც ეს თავშესაფარი და სასწავლებელი იმართება, აცხადებს, რომ მსურველები ძალიან ცოტა გამოჩნდნენ, და ეს, უეჭველია, იმას უნდა მიეწერებოდესო, რომ ბევრს არ შეუტყვიათ ეს გარემოება და ამის გამო ყველა გაზეთებსა და უწყებას სთხოვს, რაც შეიძლება გაავრცელონ ეს ამბავი საქვეყნოთ.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ მარტყოფის ეკკლესიაში ამ დღეებში რვა თუმანი ფული დაკარგულა. მეტი, ამბობენ, ეკკლესიის მოსამსახურეებზედა აქვთო.

*** „თფილისის მოამბის" სიტყვით, კავკასიაში წელს ასი ათასის ფუთის თამბაქოს მოსავლის იმედი არის, ე. ი. უკანასკნელი ერთი მილიონი მანეთისაო. მარტო სიღნაღის უეზდში, ამ გაზეთის გამოანგარიშებით, 50,000 ფუთი მოვა; აგრეთვე ბევრი თამბაქო მოჰყავთ ალაზნის ნაპირებზე და ჭიაურშიო.

თუ ამას მიუმატებთ იმ თამბაქოსაც, რომელიც ბურიაში და საზოგადოთ ქუთაისის გუბერნიაში მოვა, მაშინ კაიმალი მოსავალი და სარგებლობა მოელის ჩვენს ქვეყანას თამბაქოსაგან.

*** ბაქოს გაზეთში იწერებიან, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ბალახანის ნავთის წყაროებთან კიდევ რამდენსამე ალაგას გამოჩნდა ახალი ნავთის წყაროებიო და დიდ-ძალი ნავთი გამოდის, ასე რომ პატრონებმა არ იციან—რა უყონ, სად შეინახონ, ტყეილ-უბრალოთ იღვრებაო.

*** რაჭიდამ გვწერენ, რომ ამ დღეებში იქაური სოფლები დაუვლია იმერეთის ეპისკოპოსს ყოვლად-სამღვდელოს ბაბრიელს და რამდენიმეჯერ ჩინებული სიტყვა უთქვამს ხალხისათვის სხვა-და-სხვა საგნებზედ. კორრესპონდენტი იწერება, რომ ამ ქადაგებას ძალიან კარგი შთაბეჭდილება ჰქონდა ჩვენს ხალხზედაო; მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენს მხარეში ისეთი მღვდლები არიან, რომ სანახევროდაც არ ასრულებენ ეპისკოპოსის დარიგებას. . .

*** ქრეისერების (მსწრაფულ-მავალი ხომალდების) შესაძენად ქუთაისის გუბერნიის კომიტეტს მოუგროვებია: ზუგდიდის უეზდში (სოფლის ხალხისაგან) 963 მან. და 43 კაპ., შორაპნის უეზდში—161 მან. და 78 კაპ.; ადრეც ყოფილა მოგროვილი—292 მან. და 27 კაპ.; ამ ნაირად სულ მოგროვილა ქუთაისის გუბერნიაში—1,417 მან. და 48 კაპ.

*** „თფილისის განცხადებაში" დაბეჭდილია შემდეგი ანგარიში, რომელიც გვიჩვენებს—თუ რა უსინდისოთ იქცევიან ჩვენი ვაჭრები:

ერთი კილაც წასულა ელისავეტალის კოლონიაში (ქალაქიდამ 30 ვერსია) უყიდნია იქ 70 ფუთი კართოფილი და ჩამოუტანია ქალაქში. როცა გამოუანგარიშნია კართოფილის ფასი, თავის გზის ქირა, ჩამოტანა და ყველაფერი, გამოსულა, რომ ფუთი კართოფილი ათ შაურად დაჯდომია. ქალაქში კი ვაჭრები გირვანქობით შაურად ჰყიდიან კართოფილსა, ე. ი. ფუთს ორ მანეთად, და ფუთობით კი ფუთს მანეთ ნახევრად და ხშირად რვა აბაზათაცო.

„დროების" კორრესპონდენცია

თელავი, 4 ოქტომბერს. მე-153 მუხლი უსტავისა აღკრძალავს მოკვლასა ანუ დაჭრილობითი დახიჩავებასა ყოველის პირუტყვისა, რომელიც სხვის ნამუშევარს წაახდენს. დღიდგან ახალის სასამართლოების დაწესებისა ეს კანონი შემოვიდა ხმარებაში ჩვენს კავკასიაშიაც.

ადგილობრივი მცხოვრებნი ახალი წესდებულების გამოცხადებამდე ხელთ-მძღვანელობდნენ ამ საგანზედ მაჰა პაპის ჩვეულებით, რომლის ძალითაც ჭირნახულის პატრონს ჰქონდა უფლება მოეკლა ყოველგვარი პირუტყვი საქონელი, ანუ შინაური ფრინველი, რომელიც კი გაუფუჭებდა რასმე და ამაზედ მომკველი არა რა სასჯელში არ ექცეოდა. ამისთანა შემთხვევაში გაფუჭებულის მოსავლის პატრონი მიიღებდა მოკლულის პირუტყვის ნახევარსა, ხოლო მეორე ნახევარი უეჭველათ უნდა ჩაებარებინა საქონლის პატრონისათვის.

აი ამ გვარის წესდებულებით გარდასწყდებოდა ხოლმე საქმე უჩრელელათ და უდავ-დარაბოთ: მოკლული საქონლის პატრონი ვერ ამოიღებდა ხმასა, თუნდა წანახადი ძალიან მცირედიც ყოფილიყო; ეგრეთვე უნდა დაკმაყოფილე-

ბულიყო მამულის პატრონიც იმ შემთხვევაში, როდესაც მისდამი ნარგები მოკლული საქონლის ნახევარი ვერ შეეესებდა მის ზარალს.

ეხლა კი ყოველსავე ამ გვარს მოკვლას, პატრონის საჩივრით სდევს სასამართლო და დამნაშავე ისჯება როგორც დატუსაღებით, ეგრეთვე მოკლულის საქონლის ფასის გარდახდევინებით.

უნდა ესთქვა სიმართლე, რომ გლეხი—ხალხი ამ ახლათ დაწესებულს კანონს ვერ მიეჩვევენენ, რადგანაც დაინახეს, რომ უწინდებულის ჩვეულების მოკვეთით დიდი ზარალი ეძლევათ ასე, რომ როდესაც ამათ ჰქონდათ მოკვლის ნება საქონელზედ, მაშინ ყოველი მწყემსი მღვიძარეთ უელიდა თავის საქონელს და არ აძლევდა მოსავლის პატრონს მოსაკლავათ; ეხლა კი მწყემსი, იმ იმედით რომ საქონლის მოკვლა აღკრძალულია, წამოწვება ხის ძირში ვრილათ და მისცემს თავს მოსვენებას და ამასობაში იმისი საქონელი ჭლუპავს სხვის პურსა და ქერსა, ანუ ვენახსა. ხან ესეც მოხდება ხოლმე, რომ მწყემსს არა სძინავს და უნამუსოთ შეჭყურებს იმათს ნავნებს.

ამ გვარათ დაბრიყვებული მოსავლის პატრონი დააპირებს საჩივარს, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ მუშა კაცი ძველათ მოიცლის; ამბობს საწყალი: აი დღეს წავალ და გამოუცხადებ მიროვი სუდსა, აი ხვალ, აი ზეგ, და ამასობაში მიდის დრო, რომელიც გაიყოლებს თან იმ ექვსი თვის ვადას, რომელიც არის დაწესებული 21 მუხლში იმავე უსტავისა და ამით სამუდამოთ ეკარგება გაფუჭებულის მოსავლის ფასი. დაიწყებს ეს გულ-დამწვარი გლეხი ვაი-ვაგლახს და ბოლოს გაიგრილებს გულს ამ სიტყვებით: „დაიცა, შვილო! ნათქვამია ერთხელაც არი, თხა მგელთ არი!“ ერთხელაც იქნება, ახლა მე მოვასწრებ შენს ჯეჯილებს და დავაძლობ შიგ ჩემ ყორანა კამეჩებს!....“

ერთი უბედურება ეს არის ამ ჩვენს სოფლებში, რომ წანახედზედ ერთი რაღაც ახალი წესი მოუგონიათ. თვითეულს სოფელში არიან დანიშნული 6—8 მეველე, რომლების მოვალეობა არის თვალ-ყური ეჭიროთ, რომ მოსავალი არსად გაფუჭოს საქონელმა. ესენი მართლაც ფხიზლათ დაიარებიან და ძველათაც მოხდება, რომ არ მოასწრონ დეთესილში გაშვებულს საქონელს. მაგრამ რას არგებენ გაფუჭებულის მოსავალის პატრონს? ისინი მაშინათვე წაიყვანენ დატუსაღებულს კამეჩებს ანუ ხარებს და მიჰგვრიან იმათს პატრონს, რომელიც მოვალეა დაასაჩუქროს მეველეები ღირსეულათ. ახლა მკითხავთ: ვისიც ყანა ანუ ვენახი გაფუჭდა, იმას რაღა მისცესო?... იმას მისცეს იმდენიე, რაც ჰქონდა შენ, მკითხველო! იმას მისცეს არაფერი. მიცემას ვინღა კითხულობს, ნეტავი თავის დროზედ ძაინც შეატყობინონ პატრონს, იქნება მოჭმულს ვაზებს ანუ სხვა მოსავალს ცოტათი მაინც უშველიდა რასმე.

რადგანაც ყოველი მწყემსი უფრო ცდილობს მოაძოვოს მოსავალი ხელმარტო კაცისა, რომელსაც არ შეუძლიან საჩივრის დაწყება მოუცლელობით, ამის გამო ბევრჯელ ამ გვარათ დაბრიყვებული კაცი თავის წვრილშვილებით რჩება უსაზღოოთ მაშინ, როდესაც ის მოელოდა მრთელი წლის სარჩოს შემოტანას სახლში, თუ ის უბედურება არ დაჰმართებოდა.

როგორც მოგეხსენებათ, ამ გვარს საქმეებზედ იციან ხოლმე სოფლეურათ კვირაობით სჯა და ამისთანა მსჯელობაში სოფელს Უ—ში სოფლის ყრილობამ შეადგინა განჩინება, რომლის ძალითაც ყოველს მამულის პატრონს მიენიჭა ის მამა-პაპური უფლება საქონლის მოკვლაზედ წანახადის დროს, როგორც იყო ეს წინეთ მიროვის სუდების დაწესებისა. მართლათაც, ხალხმა იწყო ამ ძველ-ახალი კანონის აღსრულება.

და ერთხელ, როდესაც ერთმა დაზარალებულმა გლეხმა იჩივლა მიროვის სუდში, ძროხა მამიკლესო და სუდიამ ამ საქმის გარჩევის დროს ყური არ მიუგდო საქონლის მომკველისაგან წარმოდგენილს ყრილობის განჩინებას და გარდაუწყვიტა დამნაშავეს დატუსაღება და ძროხის საზღაური, მაშინ მოკლულია საქონლის პატრონმა დაჰსახა თავის თავი გამართლებულათ და იმ დღიდგან შეიძინა უფრო რაღაც მომეტებული უფლება და გამბედაობა და ერთი-ათად შეუპოვრათ წაახდინა თავის საქონლით მოსავალი და ვენახები თავისივე მეზობლისა, რასაკვირველია, იმ იმედით, რომ, თუ მოუკლავენ რასმე, კიდეც აზღვევინებს და კიდეც დაატუსაღებენ მოკვლისათვის.

რასაკვირველია, ერთის მხრით არ შეიძლება არ გავამტყუნოთ მომკლავი იმისთანა პირუტყვისა და შინაური ფრინველისა, რომლის დაჭერა და დატუსაღება არ არის საძნელო, როგორც მაგალითებრ: კამეჩი, ხარი, ძროხა ბატი და ინდოური; მაგრამ სინიდისი არ მოგვცემს ნებას, რომ გავამტყუნოთ ქათმისა და ღორის მომკველი ამისათვის, რომ როდესაც ქათმის დაჭერას მოინდომებს კაცი, მაშინ ის გადაირჩენს თავს გაფრენით; რაც შეეხება ღორსა, იმის დაჭერის დროს საჭირო არის რავდენიმე კაცი და მყეფარი; თუმცა ძნელია მისი დაჭერა, მაგრამ ვსთქოთ, რომ კიდეც დაიჭირეს, მაშინ ბოლო საქმისა დაემგზავსება ჯერ ანდაზას: „ჩიტი პტყენათ არა ღირდაო და დევნა მეტი იყოვო!“ და მერე იმ არაკს, როდესაც მზარეულმა ციცა დასტოვა სამზარეულოში, რომ თაგვებისაგან შემწვარი დაეფარა და თითონ ციცამ უფრო ბევრი ზარალი მისცა. მდევარი ხალხი და ძაღლები ღორის დევნის დროს იმდენს მოსავალს სთელქავენ ფეხით და ამტვრევენ ყურძნით სავსე ვაზებს, რომ საწყალს მამულის პატრონს ეძლევა ათჯერ მომეტებული ზარალი, ეიდრე მიეცემოდა ეს ღორის მხრით.

რასაკვირველია, კანონის შეცვლაზედ ლაპარაკი ჩვენიჭკუის საქმე არ რის, მაგრამ ადგილობრივ მთავრობას დიდი ხანია უნდა ეზრუნა ამ საგანზედ და შესულიყო წარდგენით უმაღლეს მთავრობა, რომელიც თავის მხრით მიახწევინებს ამ საქმეზედ მოლაპარაკებას ჯეროვანს ადგილს და იქნება შესაფერი ქაკასიის აქეთ მხრისათვის ახალი კანონი დაეწესებინათ რამე. სხვა თუ არა, თელაური მთავრობა კი ყოველთვის ცხადათ ჰხედავს მრავალს დავას, ჩხუბს და ცემატყეებას, რომელიც წარმოსდგებიან ხოლმე ამ წანახედების გამო.

სოფლელი

უცხო ქვეყნები

ავსტრია

ბერლინიდამ იწერებიან, აქაური დიპლომატები დარწმუნებით ამბობენ, რომ ავსტრიასა და რუსეთს პირობა აქვთ ერთმანეთში შეკრულიო, რომ ერთად იმოქმედონ ოსმალეთის წინააღმდეგ. ამბობენ აგრეთვე, თ. ბისმარკი ცდილობსო, რომ ავსტრიის, გერმანიისა და რუსეთისაგან შესდგეს კავშირი და ამ კავშირმა ყველა საქმეებში ერთად, თანხმობით იმოქმედოსო.

ინგლისი

დღევანდელს გაზეთში დაბეჭდილის ტელეგრამმიდამ შეიტყობთ, რომ ინგლისსა და ავგანისტანს შუა უეჭველიდ მოხდება ომი. ინგლისი დღემდინაც დიდს მზადებაში იყო და ახლა, როგორც დეპეშა გვაცნობებს, უფრო გაცხარებით და საჩქაროთ ემზადებიან. დიდძალი ჯარი გაუგზავნიათ ავგანისტანის ქალაქის ალიმუსეიდისაკენ, რომელსაც ყველაზე პირველად დაეცემიან.

ინგლისური გაზეთები გვაცნობებენ ინდოეთიდამ მიღებულ ამბებს, რომ ავგანისტანის ემირს სრულებით არაფრის შიში არა აქვსო, ის იმედოვნებსო, რომ თავისი მეზობელი ხალხები დაეხმარებიან ფულითა და ჯარითაო და ამას გარდა იმის იმედი აქვს კიდევაო, რომ ავგანისტანს ისეთი მდგომარეობა აქვსო, რომ მტერი შორს ვერ შემოვა შიგ ქვეყანაშიო. ალიმუსეიდში ემირს ბევრი ჯარები ჰყავს თურმე დაყენებული; თოფ-იარაღი და ზარბაზნებიც საკმაოთა იქვსო.

— გაზეთის „სტანდარის“ სიტყვით, ინგლისის ჯარები გუშინ, 12 ოქტომბერს უნდა გადასულიყვნენ ავგანისტანის სამზღვარზე და ქალაქს ალიმუსეიდს უნდა მისდგომოდნენ. ომი გადაწყვეტილი არისო, ამბობს ეს გაზეთი, რადგან ემირის შირ-ალისაგან მიღებული პა-

სუხი ინგლისს სრულიად არ აკმაყოფილებსო.

— ზემოხსენებულივე გაზეთის სიტყვით, უმთავრესი ძალა ინგლისის ჯარისა ქალაქის Ванде-гарисакенъ გაიწევს, რადგან აქეთკენ უფრო ცოტა დაბრკოლების მიღებას მოელიან Аеганистанის მხრით; Алимусвидисакенъ კი მხოლოთ ცოტა ჯარები იქნებიან გაგზავნილიო.

ოსმალეთი

— „ჰავასის საგენტოში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი სტამბოლიდამ მიღებული 30 ენკენისთვეს:

„ინგლისის ელჩის ლეიარდის შუამავლობით, ოსმალეთის მთავრობამ გარდაწყვიტა, რომ არზრუმის უმთავრესს სასამართლოში ოთხი წევრი იყოს დანიშნული და ამ ოთხ წევრში ორი სომეხი იყოს და ორიც მაჰმადიანი. ამას გარდა საეფენტ-ფაშას გამოუცხადებია სომხის სტამბოლელ პატრიარქისათვის, რომ არზრუმის მუსტაშერიფად სომეხი იქნებაო.

— ფრანცუზული გაზეთები გვაცნობებენ, რომ სულთანი არავითარ დიდ თანამდებობას არ მისცემს მითხად-ფაშასაო; ამბობენ კიო, რომ ვითომც ახალი სამინისტრო უნდა შესდგეს ოსმალეთშიო და ამ სამინისტროში ერთი მინისტრის ადგილი (შინაგანი საქმეების) მითხად-ფაშას ექნებაო, მეორე (გარეშე საქმეების) ხაირედდინ-ფაშას და მთავარ ვიზირად კი ისევ საეფენტ-ფაშა დარჩებაო.

რუსეთი

„პოლიტიკური ქორრესპონდენცია“ გვაცნობებს, რომ 2-ს ოქტომბერს გამოსულა სტამბოლიდამ რუსისა და ოსმალოს კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ბათუმისაკენ სამზღვრების გაყვანა რუსეთისა და ოსმალეთს შუა.

— პარიჟის გაზეთს „ჟურნალ-დე-დებაში“ დაბეჭდილია ლონდონიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორს მოჰყავს საინტერესო ცნობები იმაზე—თუ როგორ აჯანყებდნენ ინგლისის აგენტები ლაზებსა (ჭობულეთლებსა და ბათუმელებს) და როგორ უქადაგობდნენ იმათ, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ რუსებს, როცა ბათუმში შემოსვლა დააპირონ.

ამ კორრესპონდენციიდამ სჩანს, რომ ლაზების აჯანყებაში დიდ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ინგლისის ტრაპიზონელი კონსული. ამის დასამტკიცებელად ავტორს მოჰყავს წიგნი, რომელიც ბათუმის ბეგებს მიუწერიათ ტრაპიზონის ენერალ-ენტენერატორისთვის Иусуф-ზია-ფაშისათვის. ამ წიგნში, სხვათა შორის, მოხსენებულია, ტრაპიზონიდამ ჩამოვიდნენ აქ ინგლისის კონსულისაგან გამოგზავნილი ორი აფიცერიო. შემდეგ ბეგები იწერებიან ამ წიგნში:

„Алиფაშისა და Осман-ფაშის მოსვლა აქეთკენ და იმათთან ფულის გამოგზავნა დიდი ბედნიერებაა. მიულოცეთ ინგლისის კონსულს, დაუმადლეთ ამ ფულებით დატვირთულის კაცების გამოგზავნისათვის და დაარწმუნეთ ის, რომ ამ ფულს ჩვენში რიგიანი დანიშნულება ექნება და კეთილად მოიხმარებენ.“

ჩერნოგორია

ჩერნოგორიის მთავარს გამოუცხადებია ოსმალეთის მთავრობისათვის, რომ სანამ ყველა მუხლებს არ შეასრულებთ ბერლინის ტრაქტატისა (ჩვენ შესახებ), მანამ თქვენ ტყვეებს არ დაგიბრუნებთო.

ნარევი

ცხენების გაცვლა

(ნამდვილი ამბავი)

სიძეს ჰყვანდა ერთი ცხენი,
მოწყეტილი ჰქონდა წელი;

სიძე სოფლით თელავს მოჰხვდა
და ცოლის ძმასთან ჩამოხტა;

ერთმანერთს აღარ აცალეს:
იმწამს ცხენები გაცვალეს;

იმათ იცოდნენ ცხენთა ამბავი,
არც ერთი იყო შესანახავი;

სიძე ჰხარობდა, წავიდა შინა;
ცოლის ძმამ მისცა ახალს ცხენს ბინა.

ორივ მოტყუვდნენ, არ კი იცოდნენ;
ერთი მეორეს კი დასცინოდნენ.

სიძემ მიჰმართა იმ ღამეს სახლსა,
ცხენი გაიგდო მყისვე ბალახსა;

ცოლის-ძმის ცხენი,
სუნით ულხენი,

დაწოლილა და ვეღარ ამდგარა,—
ახალ თაველაში უცებ მომკვდარა...

სიძეს ეზოში ჰქონდა ორმო ღრმა,
შიგ ჩავარდნილა იმის ცხენი ბრმა,

სულ დამტვრეულა ძვალი, რბილები,
დაუკრეფია მწარეთ კბილები.

ა. შ.

ვარაზის ციხე

ციხე ენახე ვარაზისა,
იწრო ხევთ-კლდის თავსა ზისა;
არ ჰრცხვენის მტრის, არცა მზისა,
არსით უჩანს კვალი გზისა!

—

თუ მიეხვედოთ თვით საგანსა,
ჰგავს დევ-გმირების აკვანსა!
ვუქვე დაზრდილთ სახე-ტანსა,
მკლავს, შვილდს, ძლევას, სიგრძე-განსა!

—

დაულეწიათ მტერები,
ლრუბლად სცავს ცასა მტვერები;
სკვითთ, პარსთ, არაბთა ტერები,
ქვესიან მარცხზედ შტერები!

—

ისართ მტრის გულნი უჭრიან,
სისხლთ ხევ-ღელე გაუჭრიან;
მძორნი კლდე-ღრედ დაუჭრიან,
წყარო წყალნი დაუშრიან!

—

სადაც მესხთ სისხლი ქცეულა,
ვარდ-მოწ-ლალებრ გაწეულა,
მაწა მაღლა აწეულა,
მესხის მესხი მიწვეულა!

—

ბორა, მზღერებს, სადაც აწყვია,
იქ ხშირობს ჟოლო მარწყვია,
ის ფერ ჯავარი არწყვია,
რაც მშობელთ შვილთ მინაწყვია!

—

ზე ვარაზი, ქვე შორეთა,
ნუ ბგონია შენ ყორეთა!
ცოტა რამ მის სიშორეთა,
შესანიშნია სწორეთა!...

—

აოხრებულა სოფლები.
მიწაში წევან უფლები:
ბმირნი, ძეფე, დედოფლები.
ბვაკვირვებს მათი ოფლები!....

მ. ი. ბვარამაძე

ახალცხე, 25 ენკენისთვეს

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ლონდონი, 10 ოქტომბერს. გაზეთს „დაილი ნეუსს“ მოუვიდა სიმლიდამ (ინდოეთიდამ) შემდეგი ტელეგრამმა:

„უეჭველად მოხდება ბრძოლა ავგანისტანთან, რადგან ემირმა გამოუგზავნა ინდოეთის ვიცე-კოროლს შემდეგი პასუხი: „რაც გერჩიოს, ის ჰქენით; დანარჩენი ღვთის ხელშია!“ ეს პასუხი ლორდ ლიტტონმა ლონდონში აცნობა მთავრობას ტელეგრამმით. ოთხშაბათს მოელიან ინდიამ პასუხს, რომელზედაც იქნება დამოკიდებული—თუ როგორ უნდა მოიქცეს აქაური მთავრობა ავგანისტანის შესახებ.

ლონდონი, 10 ოქტომბერს. გაზეთს „ტაიმსში“ იწერებიან დარჯილანჩიდამ: საჩქაროთ და გაცხარებით ემზადებიან საომრად. ჯარებს გზავნიან წინ ავგანისტანის სამზღვარისაკენ და აგროვებენ იქ იმ განზრახვით, რომ მიეშველონ იქიდამ ავგანისტანში შეგზავნილ ჯარებს.

ბერლინი, 10 ოქტომბერს. გერმანიის ტახტის მემკვიდრემ მოაწერა ხელი სოციალისტების შესახებ კანონს და ეს კანონი დღეს კანონთა კრების ჟურნალში არის გამოცხადებული.

პეტერბურგი, 11 ოქტომბერს. ხვალ მოელიან აქ ენერალ დრენტელნს; „მეართებლობის მოამბეში“ გამოცხა-

დებულია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც ქანდარმების შეფის (უფროსის) თანაშემწედ დანიშნულია ლენერალ-მაიორი ჩერევინი, რადგან ლენ. სილვერსტოვი დაითხოვეს ამ თანამდებობიდამ.

ბომბეი, 11 ოქტომბერს. ბომბეის გაზეთში იწერებიან: მომავალ წლამდენ ქობულში ინგლისი ჯარს აღარ გაგზავნის; მომავალ წელს კი ისეთი ჯარი გაიგზავნება აფგანისტანის ემირის წინააღმდეგ, რომ იმის ძლევა ემირს არ შეეძლოს.

გაზეთს „დაილი ნეუსში“ ინდოეთიდამ იწერებიან, რომ ინგლისის ელჩს კარგათ ეპყრობოდნენ ქაბულშიო; მაგრამ იმას თვითონ ემირი არ უნახავს; მხოლოდ ემირის დანდობილ პირებთან ჰქონდა მოლაპარაკებაო. როცა ინგლისის ელჩი წამოვიდა ქაბულიდამ, რუსის ელჩი ჯერ კიდევ იქ იყოო.

ბერლინი, 11 ოქტომბერს. ბერლინის პოლიციის პრეზიდენტმა, სოციალისტების კანონის ძალით, დახურა ოთხი აქაური საზოგადოება.

პეტერბურლის ბირჟა, 11 ოქტომბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	97	12
მეორესი — — — —	95	62
მესამესი — — — —	95	50
მეოთხესი — — — —	95	50
ალმოსავლეთის — —	92	50
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8	20
თფილ. თავად-აზნ. ბანკის		
გირაოს ფურცელი— — „— „		
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:		
	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	234	— „
მეორე სესხის — — —	229	— „
1 მანეთი ღირს:		
ლონდონი— —	24	— „ პენსი
ამსტერდამი— —	121	— „ ცენტი
ბერლინი— — —	205	— „ ჰფენიგი
პარიკი — — —	251	75 სანტიმი

განცხადებანი

თფილისის რემესლენნი საბრანიის სტარშინები სთხოვენ უფალ ჩლენებს მობრძანდნენ **ოგზჩი საბრანიაში,** კვირას, 15 ოქტომბრისა, 7 საათზედ საღამოსა. ამღამესვე იქნება სემეინი ვეჩერი.

(3—1)

უ. ექვთიმე ხელაძის სტამბაში
იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა საქართველოს

კალენდარი

ქართველთა და სომეხთა
1879 წლისა.
ქართულის ქრონიკონით
35 წლისათვის
შედგენილი ი. ლიაძის მიერ
და გამოცემული
ექვთიმე ხელაძისაგან

(3—1)

გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

„ნ ი ნ ო“

მოთხრობა თავადი რაფიელ ერისთვისა.
ფასი 15 კაპეიკი.

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საზოგადოებას, რომ მომავალი კანჩის-ყრისათვის აღგილმარჩეველთ სია შედგენილია და გამგეობა ეგზეკვლიარები გარდაცვეული აქვს ყველა ადგილობრივი ზეთების რედაქციებს ქალაქის ხელს-მოწერლებისათვის დასარიგებლად.

ამას გარდა ამ აღგილმარჩეველთ სიის მიღება შეიძლება თვით ქალაქის გამგეობის კანჩის-ყრის დღეს, ანუ ყოველ დღე, გარდა კვირა და დღესასწაულისა, დილის 10 საათიდან ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ.

ამასთანავე ქალაქის გამგეობა საჯაროდ რაცხს აბონენტებს ყველას, რომ ვისაც ჯერ, ამ აღგილმარჩეველთ სიის შესახებ, თავის შენიშვნები ანუ შეცდომების გასწორება წარმოადგინონ, ან ეს შეიძლიან ოთხ კვირის განმავლობაში, 11 ოქტომბრიდან დაწყებული. (3—2)

გასაქირავებელი სადგომი არის ირაკლის ქუჩაზე ბატარეიის სახლებში, მეორე ეტაჟში: **შვიდი სუფთა ოთახი,** სამზარეულო და ბიჭებისთვის ოთახები.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ამავე სახლის ქვემო ეტაჟში, სადაც უფ. კონსტანტინე ქრუჩინოვი დგას.

(10—2)

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა . .	1	18	ღამ.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, ბუშეთს, სილნალს . .	—	50
როსტოვს, ოდესს, მოსკოვს	2	—
პეტერბულს, ვარშავას	2	—
ოსმალეთშ, შვეიცარიაში.	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდ. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ბაზეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ— ყოველ დღე, კვირას გარდ. ოჭუგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ლიტ. წიგნის	4
დაბეჭდილის (ბეჭდ. მისხალი) .	8

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 12 ოქტომბ.		
ფქვ. თფ. ბანჯგვისა, ფუთ.	1	80
ფქვილი ფოთელი . . .	1	60
ქერი ფუთი	1	30
ბამბა ერივანისა, ფუთი .	6	80
— ამერიკისა, ფუთი . .	7	60
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი	8	60
— თარაქამისა ფუთი . .	4	50
აბრეშუმი ნუხური ტ .	2	—
ქონი, ფუთი	6	30
ქონის სანთელი ფუთი .	7	60
სტეარინის სანთელი, ფუთ.	12	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროკ. ფუთი .	7	40
—ფხვნილი ფუთი . . .	6	20
ყავა გრგვალი, გრვ . .	—	70
ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	12	80
თამბაქო, ნაშუალო ფუთ.	6	60

თფილისის სამეურნალო

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარალეევი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—საგარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინ. გ. ა. ბეხუტოვი—საბებია და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინ. გ., ქიუჩარიანეცი—ოფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი—შინ. გ., ა. ბახუტოვი—საბებია ქალის და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალი.

Дозволено цензурою. Тифлисъ 12 Октября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.